ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ

შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (30 03)
(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)
2021 წლის I კვარტალი

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველო

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	**11 648.0**	**11 648.0**	**2 536.7**	**21.8%**	**33 010.5**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 36 904 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- გარემონტდა დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 31 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის 2021 წლის იანვრის თვეში განხორციელდა 25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის (შკოდა „octavia“ – 20 ერთეული, შკოდა „scala“ – 5 ერთეული) შესყიდვა.
- საინკასაციო, დაჯავშნულ ავტომანქანებში დასამონტაჟებლად შეძენილია 92 ცალი ვიდეოკამერა და 69 ჩამწერი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მეთვალყურეობა მანქანის წინა, გვერდითა და უკანა პერიმეტრის, ასევე, მანქანის კაფსულის, სადაც განთავსებულია ეკიპაჟი და საინკასაციო ჩანთები.
- შეძენილია 5 ცალი სერვერი.